

The Boulevard Chronicle of Kutaisi Boulevard of the Nineteenth Century
მეცხრამეტე საუკუნის ქუთაისის ბულვარის
ბულვარული ქრონიკა

Tamar Sharabidze

PhD in Philology, Professor at Ivane Javakishvili Tbilisi
State University, senior research at the Shota
Rustaveli Institute of Georgian Literature, member of the
Georgian Comparative Literature Association (GCLA)

e-mail: shagno12@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0009-0004-5900-9082>

Abstract: "BOULEVARD" by Elguja Tavberidze is a boulevard chronicle of the 19th century Kutaisi Boulevard, it is a literary work reflecting the public life of the 19th century, and its artistic peculiarity (in terms of style) is that the writer showed us the spirit of the entire era by almost documenting the history of one boulevard and its existence. It seems that Elguja Tavberidze is describing only documentary footage, but in fact, in this description, Giorgi Tsereteli expresses his heartache. The main reason for the heartache is the quenching of the patriotic spirit of the university-graduate youth, the longing for officialdom and after the so-called struggle of "Fathers and Sons", an appearance on the public arena of the new youth is required to open the eyes to the society.

These chronicles have kept as memories the wit of the 19th century classics, the methods of teaching in the gymnasium, the spirit of the police and, most importantly, the style of the boulevard. This is the garden in which rank inequality does not exist, here everyone is equal to each other and right here the marriage of both the men and women, amount of the dowry are decided as well as selection of the host for that day dinner, along with bigger issues - for example, the fate of the Kutaisi elections and important world issue, both the lies and rumors are invented here, even duels are held here, etc.

Elguja Tavberidze tells us the history of the boulevard in detail, uses the records of historians, journalism, archival materials, but never turns the narrative into providing dry information. His comments, based on the principle of "how would it have been really (when contradictory facts collide)", are highly artistic. The knowledge of historical facts is combined with them, the spirit of the era is captured, the ability of scientific argumentation is visible, and the style of the author is highly sophisticated, in which artistry is not lost at any moment. The

author discusses the name of the garden - the French word for boulevard, for which the people of Kutaisi used the word "Gulvardi" (heart of roses). "This folk name was so popular that it even reached the last decades."

There are many "romantic episodes" included in the work, one of which is outstanding - the romance between Prince Konstantine Petrovich Oldenburg, the colonel of the grenadier regiment, and his already married Agrafina Japaridze. These romantic episodes are, of course, connected to the boulevard.

Elguja Tavberidze introduces us to many important people of our country, presents their thoughts, relationships, and attitudes, which we cannot even list in a brief overview. The work is a chronicle of the entire nineteenth century, it is large-scale, and that makes it significant. The writer's words are rich in logical, scientific argumentation along with artistry. The words characteristic of the western dialect naturally makes it clear that the events typical of the whole of Georgia in the 19th century are taking place in the west of our country, in Kutaisi, the "Gulwardi" of Georgia.

Key words: Kutaisi, boulevard, chronic, 19th century, history

თამარ შარაბიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ქართული შედარებითი ლიტერატურის ასოციაციის (GCLA) წევრი
ელ-ფოსტა: shagno12@gmail.com

ORCID: <https://orcid.org/0009-0004-5900-9082>

აბსტრაქტი: ელგუჯა თავბერიძის „BOULEVARD“ მეცხრამეტე საუკუნის ქუთაისის ბულვარის ბულვარული ქრონიკაა, მე-19 საუკუნის საზოგადოებრივი ყოფის ამსახველი ლიტერატურული ნაწარმოებია და მისი მხატვრული თავისებურება იმაშიცაა (თუგინდ სტილური), რომ მწერალმა ერთი ბულვარის ისტორიისა და მისი ყოფის თითქმის დოკუმენტალური დახატვით მთელი ეპოქის სულისკვეთება დაგვანახა. თითქოს მხოლოდ დოკუმენტურ კადრებს აღწერს ელგუჯა თავბერიძე, სინამდვილეში ამ აღწერაში გიორგი წერეთელივით თავის გულისტკივილს ატევს. გულისტკივილის მთავარი მიზეზი კი უნივერსიტეტ დამთავრებული ახალგაზრდობის პატრიოტულ სულისკვეთების ჩაქრობაა, ჩინოვნიკობისაკენ ლტოლვა და ე.წ. „მამათა და შვილთა“ ბრძოლის შემდგომ კიდევ ახალი ახალგაზრდობის გამოსვლაა საჭირო საზოგადოებრივ ასპარეზზე ამავე საზოგადოებისთვის თვალის ასახელად.

ამ ქრონიკებს, მოგონებების სახით, XIX საუკუნის კლასიკოსთა მახვილგონიერებანიც შემოუნახავს, გიმნაზიაში სწავლების მეთოდები, პოლიციელთა სულისკვეთებაც და, რაც მთავარია, ბულვარის სტილი. ეს ის ბაღია, რომელშიაც წოდებრივი უთანასწორობა არ არსებობს, აქ ყველა ერთმანეთის ტოლი და სწორია, აქ წყდება როგორც ქალის გათხოვების, ცოლ-ის შერთვის, მზითევის ოდენობის, იმდღევანდელი სადილისათვის მასპინძლის შერჩევის, ასევე უფრო მასშტაბური საკითხებიც - მაგ. ქუთაისის არჩევნების ბედი, და მსოფლიოს მნიშვნელოვანი საკითხებიც აქვე მუშავდება, აქვე ითხოვება ტყუილიცა და ჭორიც, აქვე იმართება დუელები და ა.შ.

ელგუჯა თავბერიძე დაწვრილებით მოგვითხრობს ბულვარის ისტორიას, მოხერხებულად იმარჯვებს ისტორიკოსთა ჩანაწერებს, პუბლიცისტიკას, საარქივო მასალებს, მაგრამ არასდროს გადაჰყავს თხრობა მშრალი ინფორმაციის მოწოდებაში. მისი კომენტარები, რომლე-ბიც აგებულია პრინციპზე - სინამდვილეში როგორ იქნებოდა (როცა ურთიერთ გამომრიცხავი ფაქტები ერთმანეთს ეჯახება) - უაღრესად მხატვრულია. მათში შერწყმულია ისტორიული ფაქტების ცოდნა, დაჭერილია ეპოქის სულისკვეთება, თვალსაჩინოა მეცნიერული არგუმენტაციის უნარი და უაღრესად დახვეწილი ავტორის სტილი, რომელშიც მხატვრულობა არც ერთ მომენტში არ იკარგება. ავტორი მსჯელობს ბაღის სახელზე - ფრანგულ სიტყვა ბულვარზე, რომლის შესატყვისად და სააღერსოდ ქუთაისლებმა „გულვარდი“ იხმარეს. „ეს ხალხური სახელწოდება იმდენად პოპულარული იყო, რომ ბოლო ათწლეულებამდეც კი მოაღწია“.

ნაწარმოებში უხვადაა ჩართული „რომანული ეპიზოდები“, რომელთაგან ერთ-ერთი გამორჩეულია - გრენადერთა პოლკის პოლკოვნიკის პრინც კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურგის უკვე ქმრიან აგრაფინა ჯაფარიძესთან რომანი. ეს რომანული ეპიზოდები, რა თქმა უნდა, ბულვართანაა დაკავშირებული.

ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან მრავალ ადამიანს გვაცნობს ელგუჯა თავბერიძე, წარმოგვიდგენს მათ აზრებს, ურთიერთობებს, დამოკიდებულებებს, რომელთაც მოკლე მიმოხილვაში ვერც კი ჩამოვთვლით. ნაწარმოები მთელი მეცხრამეტე საუკუნის ქრონიკაა, მასშტაბურია და სწორედ ამაშია მისი მნიშვნელობა. მწერლის სიტყვა მხატვრულობასთან ერთად ლოგიკური, მეცნიერული არგუმენტაციითაა მდიდარი. დასავლური დიალექტისათვის დამახასიათებელი სიტყვები ბუნებრივად ნათელს ხდის, რომ მე-19 საუკუნის მთელი საქართველოსათვის დამახასიათებელი მოვლენები სწორედ ჩვენი ქვეყნის დასავლეთში, საქართველოს „გულვარდ“ ქუთაისში მიმდინარეობს.

საკვანძო სიტყვები: ქუთაისი, ბულვარი, ქრონიკა, XIX საუკუნე, ისტორია

შესავალი: პირველი, რაც ელგუჯა თავბერიძის „ბულვარის“ წაკითხვის შემდეგ, მომინდა, ქუთაისის ბულვარის ნახვაა, ბულვარისა, რომელზედაც საოცარ ამბებს (კარგსაც და ცუდსაც) საოცრად გვიამბობს მწერალი. მომინდა, ჩემი თვალთ მენახა, როგორ შეიცვალა გიორგი წერეთლის, აკაკის, შალვა დადიანის, მამია გურიელის, კოწია ერისთავის, ნიკო ნიკოლაძისა და ზოგადად, ქუთაისის მთელი საზოგადოებისათვის ასეთი ახლობელი, ასეთი აუცილებელი და ასეთი განუშორებელი ბაღი. მომინდა, მივმხვდარიყავი, საზოგადოების რომელ ჯგუფს რომელი ადგილი უნდა დაეკავებინა ბულვარში, ან გამომეცნო, სად უყვარდა ჯდომა აკაკის, ჩემი თვალთ მენახა, ისევ თუ ყიდიდნენ ზელტცერის წყალს, თუ ის რაიმე სხვა სასმელით შეიცვალა. იქნებ, იქ, ბულვარში მჯდომს, უფრო თვალნათლივ წარმომედგინა სომბრეროქუდიანი აკაკისა და პოლიციელის ჩხუბი, ქუდი რატომ გახურავსო, ან კირილე ლორთქიფანიძე დამენახა განუყრელი შავი ქოლგით, ან დავით ხელთუფლიშვილი მეცნო თავისი წვრილი ჯოხითა და შავი ქუდით, ან ცხვირზე პენსნეჩამოვარდნილი მამია გურიელი და კიდევ ბევრი სხვაც. ასეთი განწყობა მკითხველისა არ მოაქვს ჩვეულებრივ ქრონიკას, წარსულისა თუ ახალი ამბების გადმოცემას (თუნდაც ნახევრად მხატვრულად), ეს უპირველესად მხატვრული ტექსტის თვისებაა.

წყაროების/ლიტერატურის მიმოხილვა: ელგუჯა თავბერიძის „ბულვარი“ მე-19 საუკუნის საზოგადოებრივი ყოფის ამსახველი ლიტერატურული ნაწარმოებია და მისი მხატვრული თავისებურება იმაშიცაა (თუგინდ სტილური), რომ მწერალმა ერთი ბულვარის ისტორიისა და მისი ყოფის თითქმის დოკუმენტალური დახატვით მთელი ეპოქის სულისკვეთება დაგვანახა.

ეპოქაა, სხვა არაფერი, ევროპულად მორთული „ბარიშნა“, „ზავედენიაგასრულებული“, ნასწავლებლებში რომ მოაქვს თავი, ქართულ-რუსულ-ფრანციცულად რომ ტიტინებს, ევროპული „ტანცაობაც“ იცის და მინიმუმ ორი კავალერი მაინც მიაცილებს, გააჩნია მზითევს, „კაიმზითვიანს“ - სამიც და ოთხიც. ტიპურია კავალრების ჩაცმულობაც - ფეხებზე იმ დროის ახალი მოდის „ლაფჩინი“, ტანზე - ჩერქესკა, წელზე - ხანჯალი, ერთი სიტყვით - ქართულ-რუსული. მწერლის კომენტარით, „ასე იმიტომ იცვამდნენ, რომ ნახევრად პატრიოტობდნენ“ (გვ. 26). რა თქმა უნდა, სწორია, მთლად უგულობას ქართველობისადმი ვერ დავაბრალებთ, მოდის გავლენაც დიდია, მაგრამ „ნახევრად პატრიოტობა“ მაინც გულს გვიკლავს, ასევე ის ფაქტიც, რომ კავალრებიდან ზოგს უნივერსიტეტიც ჰქონია გასრულებული და ჩინოვნიკობაც დათრეული. თითქოს მხოლოდ აღწერს ელგუჯა თავბერიძე, სინამდვილეში გიორგი წერეთელივით მასაც გული სტკივა, რომ უნივერსიტეტდამთავრებული ახალგაზრდობის პატრიოტულ

სულისკვეთებას ჩინოვნიკობა ასამარებს და ე. წ. „მამათა და შვილთა“ ბრძოლის შემდგომ კიდევ ახალი ახალგაზრდობის გამოსვლაა საჭირო საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ვის აღარ ნახავდით ბულვარში?! მწერალი „ბარიშნებისა“ და მათი „კავალრების“, პაემნებისა და ბულვარში შემდგარი სატრფიალო ურთიერთობების შემდგომ თავადებს წარმოაჩენს (ახალგაზრდებსაც და ხნიერებსაც), წოდებით გადიდგულეებულებს, ამპარტავნებს, თით-ქოს მთელი აღმოსავლეთის ბედი იმათ ზურგზე რომ ჰკდია, სინამდვილეში დიდკაცებთან დაახლოების მოსურნეებს ერთადერთი მიზნით - „კუჭის ამოყორვის“ სურვილით; მათ ჩინოვნიკობა მოსდევს, ადვოკატი კვიმატიძე და და მისი კლიენტი საწყალიძე. ბულვარში გასაგები ხდება, რომ „კაი ვეჟილობა კვიმატობის, სინიდისის მომეტებული გაქრობით იზომება“ (თავბერიძე 2021: 34). რა თქმა უნდა, აქ ვაჭრების ბირჟაცაა. „აღებ-მიცემობაში დაოსტატებუ-ლი ებრაელი ყოველდღე იჭერდა ქამანდით თავადიშვილებს, ისეთ სარმას გამოკრავდა, იმოდენა ვალებში გახვანჯავდა, ცხრა მოდგმას რომ გადაწვდებოდა“ (თავბერიძე 2021: 36), - წერს ავტორი. არაჩვეულებრივია შედარება: „ბულვარი, ცუდკარგი შვილების დედასავით, იმათაც ჭირისუფლობდა, ვინც ტყავდებოდა, იმათაც, ვინც ატყავებდა“.

აკაკის ამბავი, კოწია ერისთავის მიერ მახვილგონივრულად ნათქვამი, სამუდამოდ დაამახსოვრდება მკითხველს. ებრაელს უცხოელები მოუტყუებია და მოქსოვილი ქიცა (ქალების თავსაკრავი) კავკასიურ გალსტუკად გაუსაღებია. უცხოელებს ბევრი შეუძენიათ. აკაკის ებრაელი უხმია, დილისთვის სასტუმროში დაუბარებია და უცხოელების მოტყუებისთვის ხუთი მანეთის ჩუქებას დაჰირებია. კოწია ერისთავს კი აკაკი დაუბარებია მეორე დილისთვის და თუმანს შეჰპირებია (შალვა დადიანის ვარიანტით - სადილს) იმ ებრაელის მოტყუებისთვის.

ბულვარში გიმნაზიელთა ამბებსა და მათი სწავლების მეთოდებზეც შეიტყობთ, რადგან იქვეა წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი და ვაჟთა გიმნაზიაც. დიდი შესვენების დროს მოწაფეები სწორედ ბულვარში იყრიდნენ თავს. მათი საუბრიდან ვიგებთ მასწავლებელთა არაკეთილსინდისიერების შესახებ. რევიზიის შიშით მგელი მასწავლებლები ცხვრებს ემსგავსებიან. არ უსწორებენ მოსწავლეს შეცდომებს იმ მიზნით, რომ რევიზიამ მათი საქმიანობა დადებითად შეაფასოს; ამიტომ მოწაფეებიც სულ რევიზიას ნატრობენ. ცხადია, რევიზორადაც ისეთი მოდის, რომელიც საგანში ვერ ერკვევა.

ყველაზე ბევრი რამ ბულვარში მოდარაჯე პოლიციელებმა იციან, თუ არ ჩავთვლით ხეებსა და ბუჩქებს, რომლებიც დაბადებიდან სიკვდილამდე ისმენენ და უცქერენ იმას, რაც ბულვარში ხდებოდა. პოლიციელები ჩინისა და ჯამაგირის მომატების მიზნით ბუჩქებშიც კი იმალებიან, იქნებ რაიმე ისეთს მოვკრათ ყური, სახელმწიფო საიდუმლოებას რომ შეიცავსო.

პოლიციაში არიან მექალთანეებიც და თავზეხელაღებულებიც. ერთ-ერთ მათგანს გლეხი იმისთვის გაუმათრახებია, რატომ ვახშამი არ მომიძადა და მუქთად არ მაჭამეო (თავბერიძე 2021: 50).

ბულვარში დასეირნობენ დიდკაცი ჩინოვნიკებიც: დიდი „ზავედენისი ლავანი პრავიწელი“ და კოლოტივით დამრგვალებული „გლავნი გრაჟდანიცი“, დაბანდალობენ დაბერებული პაჟარნი დარჩუა და მისი ძმობილი საქულა. ინტილიგენტთა ერთი ნაწილი კენტად დაიარება, აქაოდა ჩემი ტოლი დუნიაზე არ მეგულებათ. იმათში ერთი ისეთი ლიტერატორიცაა, რუსები რომ „ნეუდაჩნიკს“ ემახიან, მაგრამ, მწერლის აზრით, სულ ოპოზიციონერობა აუტანელია და ეს ნეუდაჩნიკიც ერთ კაცთან მისულა, იმას ერთი სიტყვა უთქვამს და მას შემდეგ იმ კაცის წინაშე საჯაროდ სულ ოთურმას თამაშობს, ბულვარის აკადემია კი ტაშს უკრავს. აი, ასეთი გავლენა აქვს დიდკაცს, ამპარტავნებასაც უმალ აქარწყლებს, თუმცა მწერალი არ გვიძახებს, ვის გულისხმობს ამ „ნეუდაჩნიკში“ და ზოგადად მიგვითითებს, რომ ბულვარი „ნეუდაჩნიკების“ ბირჟაცაა, ფართო აღებმცემობის ადგილიცაა, რადგან აქ ფართლელს ან სხვა რამეს კი არ ყიდიან, არამედ ხმებს (არჩევნებისას), რომელშიც ზოგი ნაღდს თხოულობს, ზოგი ზუთხს ჯერდება. ბულვარს გარეთ, ქვაფენილზე თავს იყრიან ქუთათური ჩოხოსნები – ლხინიკო უქმაძეები და „ჯიბედაჭლექიანებულები“ იმის ფიქრში არიან, დღეს სად ვისადილებ, ვინ დამპატიყებსო. ქუთაისელთა ბუნებაზე მეტყველებს მათი ერთი ჩვეულებაც, რომელსაც ავტორი შემდეგნაირად გამოიტყვის: „აქაურებს დაპატიყება უყვარდათ, საქვეყნო ვალის გადახდასა და სტუმრის გამასპინძლებაში ტოლობის ნიშანს სვამდნენ“ (თავბერიძე 2021:143); სამსონ ფირცხალავას სიტყვებით, „ქუთათურები სიკოხტავეში აქ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ტანსაცმელს აქ ფენდნენ, ცოდნასა თუ უცოდინრობას ბულვარის ქვაფენილზე აბრეხებდნენ...“ (თავბერიძე 2021: 145). ბულვარში ხდებოდა მაჭანკლობაც, მომავალი სარძლოს ან სასიძოს შეთვალეობა, მათი ნათესავების გაცნობა, უცნობების გამოკითხვაც მომავალი ოჯახის წევრის ხასიათზე, საქმიანობაზე, მზითევის ოდენობასა და ა. შ. აქვე იკრიბებოდა თანხა ვინმეს დასახმარებლად. ხანდახან ხალხის მოტყუებასაც ჰქონდა ადგილი; მაგალითად, ჰაეროსტატით კაცის ცაში გაფრენის მაგივრად ქალაქის ბუშტი აუშვიათ ზევით და ქუთაისელები განაწყენებულნი დარჩენილან. ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ ცულლუტების წარმოდგენებს უფრო ესწრებოდა საზოგადოება, ვიდრე ქართულ სპექტაკლებს, რომელიც სულიერ საზრდოს აწვდიდა. ბულვარი ჭორების სამჭედლოც ყოფილა. „ყველა ჭორი ბულვარში იბადებოდა და მანამ ცოცხლობდა, სანამ ახალი არ გაჩნდებოდა“ (თავბერიძე 2021: 163). ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ მამულში მომხდარზე მეტად ცხრა მთის იქითა ამბები აინტერესებდათ ქუთათურებს. ბულვარში

დუელიც მომხდარა. დავით მიქელაძე და ალექსანდრე წულუკიძე დატაკებიან ერთმანეთს.

მეთოდოლოგია: ავტორი დაწვრილებით გვიამბობს ამბავს. მოიშველიებს მაშინდელ პრესას, მასალის შესახებ არსებულ ყველა წერილს, ამბავში მონაწილეთა შესახებ კრიზავს ცნობებს საარქივო მასალებში, მოპოვებულ მასალებს ერთმანეთს უდარებს და ცდილობს წარმოგვიდგინოს, რეალობაში რა მოხდა; მაგალითად, ის გვაცნობს ზოგადად დუელის წესებს და გვიხსნის იმასაც, რით განსხვავდება ქართული დუელი ნამდვილისაგან; დაწვრილებით გვიყვება ბულვარში გამართულ სერთუკოსანთა საშინელ ჩხუბზეც 1881 წლის 27 მაისს და საბოლოოდ გამოაქვს დასკვნა, რომ „ჩხუბში მტყუნს და მართალს ძნელად გაარჩევ, ერთს მეორე ჰგონია დამნაშავე, მეორეს პირველი... ასეთია ჩხუბი, აჯაფსანდალივით არეული“ და 1881 წლის „ბულვარის დაკადაკაც არ ყოფილა განსხვავებული“ (თავბერიძე 2021: 276).

დისკუსია/შედეგები: ელგუჯა თავბერიძე დაწვრილებით მოგვითხრობს ბულვარის ისტორიას, მოხერხებულად იმარჯვებს ისტორიკოსთა ჩანაწერებს, პუბლიცისტიკას, საარქივო მასალებს, მაგრამ არასდროს გადაჰყავს თხრობა მშრალი ინფორმაციის მოწოდებაში, მისი კომენტარები, რომლებიც აგებულია პრინციპზე - სინამდვილეში როგორ იქნებოდა (როცა ურთიერთგამომრიცხავი ფაქტები ერთმანეთს ეჯახება) - უაღრესად მხატვრულია. მათში შერწყმულია ისტორიული ფაქტების ცოდნა, დაჭერილია ეპოქის სულისკვეთება, თვალსაჩინოა მეცნიერული არგუმენტაციის უნარი და უაღრესად დახვეწილია ავტორის სტილი, რომელშიც მხატვრობა არც ერთ მომენტში არ იკარგება. ავტორი მსჯელობს ბადის სახელზე - ფრანგულ სიტყვა ბულვარზე, რომლის შესატყვისად და საალერსოდ ქუთაისლებმა „გულ-ვარდი“ იხმარეს. „ეს ხალხური სახელწოდება იმდენად პოპულარული იყო, რომ ბოლო ათწლეულებამდეც კი მოაღწია“, - გვეუბნება ავტორი (თავბერიძე 2021: 83). ის უფრო ღრმად იკვლევს ამ მოფერებითი სიტყვის წარმოშობის მიზეზს და ხვდება, რომ ქართველებმა ფრანგული სახელწოდება, როგორც იწერება, ისე წაიკითხეს - „ბულვარდი“ და ქართული „გულვარდი“ მიურითმეს. „გულვარდი“, ფრანგულის გაუგებრობასთან ერთად, სიყვარულით მოფიქრებული, თანაც უცხოურს მიკეთილხმოვანებული სიტყვაა“ (თავბერიძე 2021: 84), - წერს ელგუჯა თავბერიძე. **„მი კეთილ ხმოვანებული“**, - ასეთ სიტყვებსა და გააზრებებში ჩანს მწერლის ოსტატობაც.

ნაწარმოებში უხვადაა ჩართული „რომანული ეპიზოდები“, რომელთაგან ერთ-ერთი გამორჩეულია - გრენადერთა პოლკის პოლკოვნიკის პრინც კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურგის უკვე ქმრიან აგრაფინა ჯაფარიძესთან რომანი. კომიკურად, მაგრამ სიმართლით არის ასახული ქუთათელი ქალის მოხერხებულობა - „ყველასათვის სანეტარო

სასიძომ, კონსტანტინე ოლდენბურგმა, გათხოვილ აგრაფინა ჯაფარიძეზე იფსკვნა ჯვარი... ცოლმა, რომელიც აგრაფინა ზარნეკაუ გახდა, მოარჯულა ავარა ქმარი“. ეს სატრფიალო ეპიზოდი, გარდა იმისა, რომ მკითხველის ინტერესს იწვევს, ნაწარმოებში ჩართულია სულ სხვა მიზნით. ცოლ-ქმარმა ბალახვანში შეიძინა მამული და ნოტარიუსით დამტკიცებისას პრინცმა გადაიხადა დიდი ბაჟი ქალაქის სასარგებლოდ. სწორედ ამ თანხით შემოღობეს ბულვარი რკინის მოაჯირით.

ელგუჯა თავბერიძე ბულვარის ისტორიის გადმოცემისას გვერდს არ უვლის მასში პავილიონის - როტონდას - ჩადგმას და მასთან დაკავშირებულ ამბებს. ის საგანგებოდ არ მსჯელობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, პოლიტიკაზე ზოგადად, მაგრამ თავის სათქმელს მოხდენილად აქსოვს სხვადასხვა ამბის გადმოცემაში. აი, მაგალითად, „რასაკვირველია, ნებისმიერი შენობა, მათ შორის როტონდაც, ბულვარს დაამახინჯებდა, მაგრამ იმპერატორის სიამოვნებისათვის (იმპერატორი ალექსანდრე მესამე ჩამოდიოდა იმ დროს ქუთაისში. 1888) რაიმეს დაუშნობაზე ვინ იტყოდა რამეს, მთავარია, საჭეთმპყრობელს მოწონებოდა. მოწონებია კიდევ. უკითხავს, ვინაა ხუროთმოძღვარი და ლენჩევსკი (არქიტექტორი) ათასი მანეთის საღირალი ოქროს ბეჭდით დაუჯილდოებია“ (თავბერიძე 2021: 110). მოგვიანებით პავილიონი კოტე მესხსა და ნიკო გამრეკელს სათეატროდ გადაუკეთებიათ, მაგრამ ორ წელიწადში შენობა გადამწვარა.

პოეტურია თავი - „თავის თავს გაექცესო...“ ავტორი საინტერესოდ გადმოგვიშლის აკაკის მიერ ქუთაისის აღქმას, ქალაქისა, რომელიც უჩვეულოდ იქცევა, დარდების განსაქარვებლად ცის მაგივრად ზღვისკენ იხედება, თითქოს იქ სურს მათი ჩანთქმა, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ იყურება და დარდების ჩაქვესკნელება ვერ მოუხერხებია. აკაკი ქუთაისს ვეებერთელა მთებით შემოსაზღვრულად წარმოგვიდგენს. ელგუჯა თავბერიძე, რეალობის აღქმა რომ არ დაირღვეს, კომენტარს უკეთებს მგოსნის სიტყვებს - „აკაკი ყოველივე აქაურს გრანდიოზულად წარმოსახავდა, კენჭს ლოდად გვაჩვენებდაო“ (თავბერიძე 2021: 119); აკაკის ერთ ფრაზას კი ქუთაისის ისტორიის გასაღებად მიიჩნევს - „ერთი შეხედვით, კაცი იფიქრებს, ამ ქალაქს სურსო, თავის თავს გაექცეს, მაგრამ, ტალახიდან ვეღარ ამომძვრალა და ის აკავებსო“ (იქვე). ასე ხატავს მწერალი აკაკის სიტყვებით ქუთაისს ტალახში ამოსვრილ ქალაქად, რომლის გულიც ბულვარია, მოსეირნეთაგან ადგილის ტკეპნით მისუსტებული. ეს მეტაფორული ნათქვამი კიდევ უფრო დაკონკრეტებულია ქუთაისელთა თავკუდმოგლეჯილი სირბილით, რაც უცხოელის გაკვირვებას იწვევს. ის ეკითხება აკაკის, თუ სად გარბიან ქუთაისელები, ცეცხლი ხომ არსად გაჩენილა?! „სასამართლოებსა და ნოტარიუსებში“, - პასუხობს მგოსანი.

„სახლები ხომ არ ექცევათ?“ - ამ მორიგ კითხვაზე პასუხი კიდევ უფრო მძაფრია: „არა, ბატონო, მხოლოდ ერთმანეთის დაქცევას ეშურებიან.“

ელგუჯა თავბერიძე მოგვითხრობს ქუთაისის ბულვარში გაჩენილი ხანძრის ამბავს და მას კვლავ აკაკის მონათხრობს უკავშირებს. ხანძრის შემდეგ ბულვარს სახე უცვლია, „პირდაღებულ“ ქუთაისელებს საქმე გასჩენიათ, თუ ადრე მგლის ლუკმა იყვნენ, ახლა თავად ნადირობდნენ მგელზე. „აქ ერთი უცხო სტუმარი სცხოვრობს“, - წერს აკაკი, - „რომელიც ისეთი მონადირეა თურმე, რომ თოფს არ დააცდენს, რასაც დაუმიზნებს“. აკაკიმ თავის პუბლიცისტურ წერილში „ქუთაისი“ მგელზე მონადირეები საზოგადოებისთვისაც ინატრა - „*ნეტავი ვინმე მისთანაც გვესტუმრებოდეს, რომ მგელ-კაცებზედაც ინადირებდეს*“ (წერეთელი 1990: ტ. 4, 319). პუბლიცისტმა ნართაულად საუკეთესოდ დაახასიათა ამგვარი ადამიანები: „*კრუტუნობენ კატასავით, ჰყეფენ ძაღლივით (ვითომც ერთგულებით რაღა). და ქვეყანას კი იკლებენ მგელივით*“ (იქვე). მან მგელ-კაცების ნიშნებიც გამოყო: „*დიდი პირი აქვთ, თავი პატარა, თვალები გამოპრაწული, მუცელი გაუმძღარი, მადა სვავისა, ენა გამოგდებული და კუდი გრძელი და ერთი მეორისაზე გადაბმული. გაძლებიან - იღრინებიან და თუ შიათ საცოდავად ზუვიან. მათი არც ხორცი ვარგა და არც ტყავი. ტვინი სულ არა აქვთ. ერთის სიტყვით ყოვლად უსარგებლო და მყრალი მავნე პირუტყვები არიან*“ (წერეთელი, 1990 : ტ. 4, 319). სატირაში სრულყოფილად არის ასახული იმ „მგელ-კაცთა“ ბუნება, რომლებიც ხალხს მძიმე ტვირთად აწევს. ელგუჯა თავბერიძის აზრით, უცხო სტუმარში, რომელსაც მგლებზე ნადირობით გამოუჩენია თავი, კონსტანტინე ოლდენბურგი იგულისხმება, რომლის გარეშეც იმ დროს ქუთაისში არაფერი წყდებოდა, მგლებში - თავადაზნაურობა, მგლებზე ნადირობად კი - თავადაზნაურთა „მგელკაცებად“ ქცევა, ხოლო მგელკაცებში - პრინციის შემწეობით გაყოფილ თავადაზნაურთა ნაწილი (თავბერიძე 2021: 125). აქედან გამომდინარე, მგელკაცებზე ნადირობა მათ განადგურებად კი აღარ უნდა აღვიქვათ, რაც აკაკის ოცნებაა, არამედ მათ კიდევ უფრო გაცხოველებად, რაშიც არ ვეთანხმებით ავტორს.

ელგუჯა თავბერიძე აკაკის გაზეთ „შრომაში“ დაბეჭდილ „ნაკუდალასაც“ იხსენებს და წერილის ალეგორიულ სატირასაც განმარტავს: „საშინელი მწყერობაა ამჟამად ჩვენს ქუთაისში“, - წერს აკაკი. თავბერიძის აზრით, მგოსანი მწყერებში იმ თავადებსა და აზნაურებს გულისხმობს, წინამძღოლის ან ბანკის არჩევნების დროს რაიმე სარგებლისათვის ხან ერთ, ხან მეორე ჯგუფს რომ მიემხრობოდნენ“ (თავბერიძე 2021: 125). ავტორის აზრით, სწორედ ამიტომაც სურდა ქუთაისის თავის თავს გაქცეოდა და ზღვის სიღრმეში ჩაეფლო დარდები, მას ხომ გული - ბულვარი - მისუსტებოდა. არაჩვეულებრივი აღქმაა გულის კვდომით ქვეყნის კვდომა და გულად

მიჩნეული ქუთაისის ბულვარისათვის კიდევ უფრო დიდი, აკაკისთვის ჩვეული გრანდიოზული მნიშვნელობის მინიჭება.

და კვლავ აკაკის ხატება ჩნდება მკითხველის წინაშე გარიბალდის წითელი ქუდით და ავტორის ამაღლებელი განმარტება: „მეტი ლოზუნგი რა საჭიროა, ყველაზე ხალხმრავალ ადგილას, უამრავი ადამიანის თვალწინ თავზე თავისუფლების სიმბოლოთი დადიოდა, ხალხს გარიბალდს ახსენებდა, რაც, თავისთავად, მამულის იმპერიის მონობიდან გამოხსნაზე ოცნებას ნიშნავდა“ (გვ. 130),

საგულისხმოა, რომ სწორედ ბულვარზე დაიარებოდა აკაკი გარიბალდის ქუდით, რადგან ბულვარი მისივე სიტყვებით უბრალო ბაღი, სასეირნო ადგილი არ იყო. ავტორს მკითხველი თანდათან მიჰყავს ბულვარის ჭეშმარიტი, მისი „გრანდიოზული“ მნიშვნელობის აღქმამდე: „ეს არის სალაცხო ანუ პარლამენტი, თავადაზნაურობის ყრილობის დროს აქ წყდებოდა ბედი და უბედობა. იმ დროს ამ ასპარეზზე ყველა თანასწორია. თავადი გლეხსა ჰხვევს ხელსა და ეჩურჩულება, გენერალი - ურიას, დეკანოზი და წმინდა მამა - როსკიპს, ავაზაკი - მსაჯულს და სხვა. ერთი სიტყვით, იმ დროს ამერიკის ამერიკაა“. აკაკის ამ ჩვეული, „გრანდიოზული“ განმარტების შემდეგ ავტორი თავს უფლებას აძლევს, მგონის სიტყვები ბულ-ვარში ქუთათურთა ადგილის ტკეპნასა და ტყუილ ფაციფუცზე ქუთათურთა ჩვევად წარმოგვიდგინოს და არა სატირად „კაცია-ადამიანის“ მსგავსად, რადგან ბულვარის მნიშვნელობა აღემატება უბრალო სეირნობას. „გასეირნებაცაა და გასეირნებაც, გაზეთის დაარსებამდე ბულვარი იქცა ამბის გავრცელების მთავარ ალაგად. გაზეთი რომ დაარსდა, იქ დაბეჭდილი, გამ-ხელილ გამჟღავნებული ბულვარის მეშვეობით ეფინებოდა სოფელ-ქვეყანასო“ (თავბერიძე 2021: 137). ავტორი ხშირად იმეორებს ფრაზას, რომ „ქუთათურებს ის დღე დაკარგულად მიაჩნდათ, ბულვარში თუ არ გაისეირნებდნენო“.

აკაკის სიტყვებს - „ამერიკის ამერიკა“ - ავტორი მეტი დამაჯერებლობის მისაცემად ზურაბიშვილისეულ გამონათქვამებს ამატებს: „ესპანელებს მოედნისათვის პუერტა-დე-სოლ - მზის კარი, შთამბეჭდავი სახელი დაურქმევიათ, ქუთათურებმა ბულვარი - ხეივანებით შემოზღუდული ფართო ქუჩა უწოდეს, მაგრამ იმთავითვე ურეგლამენტო, თავისუფალი კლუბის ფუნქცია დააკისრეს. ათენის აგორას, ხანძთის აკადემიას, პერიპატეტიკ ფილოსოფოსების სააზპარეზო სივრცეს დაამგვანეს“ (თავბერიძე 2021: 141). სამსომ ფირცხალავას სიტყვებიც იმავეს მოწმობს: „ბულვარში გლეხი არისტოკრატს ჰგავდა და პირიქით, არისტოკრატი - გლეხს, ყველა ყველას თანასწორობით ქმნიდა იმ გამორჩეულობას, რისთვისაც დიდ-პატარები მოილტვოდნენ აქეთ“. ე. ი. საყოველთაო თანასწორობა ასაკითაც არ ყოფილა შეზღუდ-ული. სერგეი მესხი ქუთაისის ბულვარს პარიზის ყავახანებსა და კლუბებს ადარებს,

რომლებშიც იკრიბებოდნენ არა მარტო განსასაჯელად, არამედ გადაწყვეტილების გამოსატანად.

ნიკო ნიკოლაძე ქუთაისის ახირებულ ქალაქს უწოდებს და აკვირვებს აქაურთა თხოვნა, უკვე დაგებული რკინიგზა გადააკეთონ და ქუთაისის გავლით გაიყვანონ. ნიკოს აზრით, „ჩრდილოეთის არცერთ ხალხში არ მოხერხდებოდა ისეთი საზოგადო ცხოვრება, საქვეყნოდ საქმეების იმდაგვარად საყოველთაო განხილვა, მით უფრო - მართვა, როგორც ჩვენში“ (თავბერიძე 2021: 189). აღსანიშნავია, რომ ელგუჯა თავბერიძე ყოველთვის აფასებს იმ საზოგადო მოღვაწეთა გამონათქვამებს, რომლებიც ნაწარმოებში მოჰყავს, აფასებს ნიკო ნიკოლაძესაც, რომელიც კარგად ერკვევა მსოფლიოს ხალხთა ყოფა-ცხოვრებაში. ინგლისს ნიკო ნიკოლაძე თავისუფლების ორანჟერეას უწოდებს, სადაც საზოგადო ცხოვრება ისეთ პირობებში ღვივდება, როგორც პეტერბურგში ნესვი და ანანასი. ჩრდილოეთისგან განსხვავებით, სამხრეთში მცენარეები ღია ცის ქვეშ ხარობს, რაც განსაზღვრავს ადამიანთა ცხოვრების წესსაც. იტალი-ელეები საზოგადო საქმეებს ღია ცის ქვეშ არჩევენ, ფრანგები ყავახანების წინ. ნიკოლაძის აზრით, ჩვენც იტალიელებსა და ფრანგებს ვგავართ - „ჩვენი ძველები ცაცხვების ჩრდილში არიგებდნენ საქმეებს. აქ გადაწყვეტილს კიკანონის ძალა გააჩნდა. ნიკოს თქმით, ცაცხვების ჩრდილი მე-19 საუკუნეში ბულვარმა შეცვალაო“, - წერს ელგუჯა თავბერიძე, რითაც ნიკოლაძის ნააზრევს ქუთაისის ბულვარის თავისებურებას უკავშირებს.

ნაწარმოების ავტორი აკაკის სიტყვებს, ბულვარი „ამერიკის ამერიკააო“, ნიკო ნიკოლაძის სიტყვებს უპირისპირებს, „მაინცდამაინც ამერიკის გამართვას ნუ მოვთხოვთ ქუთაისსო“ და განსხვავებული თქმის საფუძველს შემოქმედთა ბუნებასა და საკითხის სხვადასხვა კუთხიდან დანახვაში ხედავს. თავბერიძის თქმით, აკაკი „რეალისტური შტრიხებით ცდილობდა ბულვარის გამორჩეულობა დაენახვებინა“ მკითხველისათვის, ნიკოლაძე კი „ირონიულ ელ-ფერს ამჯობინებდაო“ (თავბერიძე 2021: 200).

კიდევ მრავალ, ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვან, ადამიანებს წარმოგვიდგენს ელ-გუჯა თავბერიძე, მათ აზრებს, ურთიერთობებს, დამოკიდებულებებს და, რა თქმა უნდა, არა მარტო ბულვარისა და მისი მკვიდრებისადმი, იქ მომხდარი ამბებისადმი, რომელთაც მოკლე მიმოხილვაში ვერც კი ჩამოვთვლით. ნაწარმოები მთელი მეცხრამეტე საუკუნის ქრონიკაა, მასშტაბურია და სწორედ ამაშია მისი მნიშვნელობა. მწერლის სიტყვა მხატვრობასთან ერთად ლოგიკური, მეცნიერული არგუმენტაციითაა მდიდარი. დასავლური დიალექტისათვის დამახასიათებელი სიტყვები, რომელთა მცირე რაოდენობა ამოვიწერეთ - „გახვანჯავდა“, „გაიშტრიმა“, „უჯლიქვა“, „მიჭყავა“, „რაწკარუწკი“, „შეუკვრიხინებია“, „ჩაგულისყურებოდნენ“ - ბუნებრივად ნათელს ხდის, რომ მე-19 საუკუნის მთელი საქართველოსათვის დამახასიათებელი

მოვლენები სწორედ ჩვენი ქვეყნის დასავლეთში, საქართველოს „გულვარდ“ ქუთა-ისში მიმდინარეობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **თავბერიძე, 2021:** – თავბერიძე, ე., „BOULVERD“ მეცხრამეტე საუკუნის ქუთაისის ბულვარის ბულვარული ქრონიკა“, „საგამომცემლო ცენტრი“, ქუთაისი, 2021;
2. **წერეთელი, 1990:** – წერეთელი ა., „რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად“, ტ. IV, პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები, გამომცემლობა „საქართველო“, თბილისი, 1990.